

კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში (GG4GEG)



პროექტის განმახორციელებელი:

გაეროს ქალთა ორგანიზაცია



დონორი:

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო



საერთო ბიუჯეტი:

20, 200, 000 ნორვეგიული კრონი



პროექტის ხანგრძლივობა:

1 სექტემბერი 2019 – 31 აგვისტო 2022

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, გაეროს ქალთა ორგანიზაცია სამწლიან პროექტს „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ (GG4GEG) ახორციელებს. პროექტი 2019 წლის სექტემბერში დაიწყო და მისი მიზანი საქართველოში გენდერულად მგრძობიარე მმართველობის სისტემების შექმნა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაა.

პროექტი GG4GEG პირდაპირ პასუხობს გენდერული მენისტრიმინგის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ნაკისრ ვალდებულებებს. იგი მიზანად ისახავს მმართველობის სისტემებში გენდერული ასპექტების ინტეგრირებას და საჯარო სექტორის რეფორმირების პროცესებში, მათ

შორის დეცენტრალიზაციის, საფინანსო და საჯარო სამსახურის რეფორმებში გენდერული მენისტრიმინგის ხელშეწყობას.

პროექტის სამი ძირითადი ამოცანა:

- გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის ინსტიტუციონალიზაცია ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე
- გენდერული მენისტრიმინგის შესაძლებლობების გაძლიერება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე
- მონაცემთა ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და ანალიზის გაუმჯობესება გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პროგრესის შეფასებისთვის საქართველოში

პროექტის ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას გენდერული თანასწორობის ვალდებულებების შესრულებაში დაეხმარება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის შემუშავებასა და გენდერულ მენისტრიმინგს უკავშირდება.

პროექტის ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას გენდერული მენისტრიმინგის პოლიტიკისა და ინსტრუმენტების შემუშავებაში მხარდაჭერას ისეთი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით გაუწევს, როგორებიცაა ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია, პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა, მდგრადი განვითარების მიზნები. ამას გარდა, პროექტი საქართველოს მთავრობას დახმარებას გაუწევს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში გენდერული მენისტრიმინგის ისეთი ინსტრუმენტებისა და მეთოდების დანერგვაში, როგორებიცაა გენდერული გავლენის შეფასება (GIA), მონაწილეობითი გენდერული აუდიტი (PGA) და გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირება (GRB).

პროექტი აქტიურად იმუშავებს ადგილობრივ ხელისუფლებებთან გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების სფეროში ნაკისრი საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების ლოკალიზაციისა და გენდერული მენისტრიმინგის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით.

ასევე, პროექტი მიზნად ისახავს გენდერული მენისტრიმინგის შესახებ საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაზრდას ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეებზე. საჯარო მოხელეებთან ერთად, მოხდება ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების გადამზადება გენდერული მენისტრიმინგის მეთოდებში და ინსტრუმენტებში.

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების პროგრესის შეფასების მიზნით, პროექტი გენდერული მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების სისტემებს გააძლიერებს. ამ მიმართულებით იგი პრიორიტეტულად იმუშავებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) ეროვნული სტატისტიკის სისტემაში გენდერული მენისტრიმინგისა და გენდერული მონაცემების ხელმისაწვდომობის კუთხით, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მონაცემთა ანალიზს და მის გამოყენებას პოლიტიკის დოკუმენტების, გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში. ასევე, პროექტის ფარგლებში, საქსტატთან ერთად, საქართველოში პირველად ჩატარდება დროის გამოყენების კვლევა, რომელიც გლობალურად აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და მეთოდოლოგიებს დაეფუძნება და უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობას მდგრადი განვითარების 5.4.1 ინდიკატორის ინფორმირებისთვის.

პროექტის სამიზნე ჯგუფები არიან ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართული საჯარო მოხელეები, გენდერის ექსპერტები და აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. მის საბოლოო ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქალები და კაცები, რომლებიც სარგებელს პროექტის შედეგად გაძლიერებული გენდერულად მგრძობიარე მმართველობის სისტემებიდან მიიღებენ.

